ეროვნული

№ 229 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. შაბათი 11 ოქტომბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) „საქართველოს რესპუბლიკა“ მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

შაბათს, ოქტომბ. 11, ვოლ-ლევიცკაიას, სარაჯიშვილის, ინაშვილის და საბინინის მონაწილ. ევგენი ონეგინი. კვირას, ოქტომბრის 12, „რიგოლეტო“. ორშაბათს, პირველი აბონემენტის მეორე სპექტაკლი „ფაუსტი“. სამშაბათს, ოქტომბრის 13-ს, „აბესალომ და ეთერი“. ოთხშაბათს, „ბოჰემა“. 992 1—1

იწვევენ

სიტყვიერების, მათემატიკის და ახალი ენების მასწავლებელთ სოხუმში. მიმართეთ უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარ გამგეს. 1978 3—3

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ.ბ. აქციონერებს საგანგებო საზოგადო კრებაზე დასასწრებლად, შემდეგი საგნის განსახილველად: ერთი გამგეობის წევრის არჩევა, ნაცვლად გასული ი. ი. ზურაბიშვილისა, მის სენატორად არჩევის გამო. 1983 3—2

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

იწვევს სოფლის მასწავლებელს თვიური ჯამაგირით 1500 მან. მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით შესაფერი საბუთების წარდგენით ზემო ხსენებულ გამგეობას. 986 3—1

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის.

4 ოქტომბერი, 1919 № 23.

1. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარაშვილი განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან მისი იტალიაში გამგზავრების გამო მთავრობის დელეგაციის მეთაურად.

2. საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბეიჯანში ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძე განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან და დაინიშნოს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად ამა წლის 4 ოქტომბრიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად აზერბეიჯანში დაინიშნოს გრიგოლ კონსტანტინეს ძე ალშიბაია ამა წლის 4 ოქტომბრიდან.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

მთავრობის საქმეთა მმართველი

ქ. ჯაფარიძე.

ბრძანებანი

რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო პირთა შესახებ.

ამ წლის 7 ოქტომბრიდან, № 601.

ინიშნება: სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციაში სექციის უფროსად მასწავლებელი ჟორჟოლიანი ალექსანდრე ამა წლის 1-ლი ოქტომბრიდან.

ხელს აწერს სამხედრო მინისტრი

ნ. რამიშვილი

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

30 სექტემბერი, 1919 წ., № 226.

დანიშნულია: სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის მოვალეობის აღმასრულებლად პლატონ ლავრენტის ძე დევიძე ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. **ავალიანი.**

2 ოქტომბერი, 1919 წ., № 228.

გადარიცხულია საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების ბუღალტრის უფროსი თანაშემწე ალამალოვი საკრედიტო განყოფილებაში ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი

ალ. კანდელაკი.

№ 229.

დათხოვნილია სამსახურიდან თანახმად თხოვნისა სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი ზაალ რაფიელის ძე ჩიხლაძე ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი

ალ. კანდელაკი.

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა.

17 ენკენისთვე, 1919 წ., № 172.

დანიშნულ იქმნას ბორჯომის უბნის საგამომძიებლოს საქმის მწარმოებლად ნიკა კოჩინევისა ამა წლის 1 ენკენისთვიდან.

18 ენკენისთვე, 1919 წ., № 173.

დათხოვნილ იქმნას დასასვენებლად ამა წლის 19 ენკენისთვიდან ოქტომბრის 6-დე ტფილისის ნოტარიუსი ლუკომსკი, მისი ლუკომსკის თანამდებობის აღსრულება მიენდოს სამსონ გიორგის ძეს თარხნიშვილს, ლუკომსკის ქონების პასუხისგებით.

23 ენკენისთვე, 1919 წ. № 174.

დათხოვნილ იქმნას დასასვენებლად ერთი თვით საოლქო სასამართლოს 1 სისხლის სამართლის განყოფილების მოხელე სერგო მაკალატია ამა წლის 25 ენკენისთვიდან 25 ოქტომბრამდის.

29 ენკენისთვე, 1919 წ. № 175.

კანცელარიის მოხელეს გიორგი დავითის ძეს გარსიაშვილს მიეცა ორი კვირის თავისუფლება ავადმყოფობის გამო 1-ლ ოქტომბრამდის.

30 ენკენისთვე, 1919 წ., № 176.

დანიშნულ იქმნას თარჯიმანად 1-ლ სისხლის სამართლის განყოფილებაში საქმის მწარმოებელი თარჯიმანი მე 8 უბნის სასამართლო გამომძიებლისა ზაქარია ალექსანდრეს ძე განჯუმოვი 1-ლ ოქტომბრიდან.

№ 177.

მდივნის თანაშემწე ალექსი გოდერზოვს ავადმყოფობის გამო მიეცეს ერთი თვით თავისუფლება. დროებით საგანგებო სასამართლოს მდივნის თანამდებობის აღსრულება მიენდოს 2 სამოქალაქო განყოფილების მდივნის თანაშემწეს შოძახიას. ხოლო მაგიდის გამგეობა იმავე განყოფილებისა მიენდოს კანცელარიის მოხელეს მაჩაბელს.

1 ოქტომბერი, 1919 წ., № 178.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან მე-7 უბნის სასამართლოს გამომძიებლის საქმის მწარმოებელი სოფიო ალექსანდრეს ასული მაყაშვილი თანახმად თხოვნისა ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

№ 179.

დანიშნულ იქმნას მე 7 უბნის სასამართლოს საქმის მწარმოებლად მარიამ ივანეს ასული ბალუევა 1-ლ ოქტომბრიდან.

სასამართლოს თავმჯდომარე

ვ. კიზირია.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

3 ოქტომბრის სხდომა

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ბ-ნი გეგეჭკორი; მინისტრები: ბ-ნნი რამიშვილი, კანდელაკი, ხომერიკი; სახელმწიფო კონტროლიორი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები: ბ-ნნი ავალიანი, გედევანიშვილი, ცინცაძე, ერაძე, ქიქოძე; მთავარი მომარაგების სამართველოს გამგე ქარცივაძე; საქმეთა მართველი კ. ჯაფარიძე; მდივნობს დ. დიდებულიძე.

სახელმწიფო მონოპოლიზაცია.

სახელმწიფო მონოპოლიზაცია ამა თუ იმ საქონლისა უნდა მოახდინოს მთავრობამ თავისი საშუალებით საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო ინიციატივის დახმარებით მონოპოლიზაციის საქმეში (ე. ი. საზოგადოებრივი დაწესებულებანი და კერძო ინიციატივა დაინტერესებულ უნდა იყვნენ, რომ მონოპოლია წყობრად და ნაყოფიერად გატარდეს).

საქონლის გაზიდვა რესპუბლიკის საზღვრებიდან უნდა იყოს დამყარებული საქონლის გაყიდვაზე, მხოლოდ ვალიუტაზე.

მონოპოლიის ორგანიზაციის დაწვრილებითი გეგმა შემუშავებულ იქმნას ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მიერ.

სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკის განსახორციელებლად უნდა არსებობდეს სპეციალური ავტორიტეტიული ორგანო, რომელიც დაექვემდებარება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს.

მეხუთე მუხლში აღნიშნულ ორგანოს კონსტრუქციისა და მისი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებისთვის დაქვემდებარების შესახებ მოხსენება პროექტი წარდგენილ იქნეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ სამი დღის განმავლობაში.

4 ოქტომბრის სხდომა

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ბ-ნი ევგ. გეგეჭკორი; მინისტრები: ბ-ნი ხომერიკი, რამიშვილი, კანდელაკი; მინისტრთა ამხანაგები: ერაძე, ჭიჭინაძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ავალიანი; იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ქიქოძე; საქმეთა მართველი კ. ჯაფარიძე; მდივნობს დ. დიდებულიძე.

ცხენების შეძენა

ნება მიეცეს სამხედრო უწყებას, რესპუბლიკის ჯარის საჭიროებისათვის, შეიძინოს 140 ცხენი. ამ მიზნისთვის საჭირო თანხა 840,000 მან. გაღებულ იქნას სამხედრო ფონდიდან.

ათი მილიონის გადადება გვარდიისთვის სურსათის და ფეხსაცმელების შესაძენათ.

მოხსენება ათი მილიონი მანეთის გადადების შესახებ, გვარდიისათვის საჭირო სურსათისა და ფეხსაცმელის დასამზადებლად მოწონებულ იქნას და დაევალოს სამხედრო მინისტრს საჩქაროდ წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. დანიშვნა.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნოს ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძე.

დიპლომატიურ წარმომადგენლის დანიშვნა აზერბეიჯანში.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად დაინიშნოს აზერბეიჯანში გრიგოლ კონსტანტინეს ძე ალშიბაია.

სახალხო განათლების სამინისტროში

ამ ხუთმეტიოდე წლის წინად ქალ. ტფილისში კერძო თაოსნობით დაარსდა საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“, რომელმაც მოკლე ხანში ჩვენს საზოგადოებაში დიდი ნდობა და სახელი მოიხვეჭა. ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ჟურნალის ხელმძღვანელი რედაქცია თავიდანვე უჩვეულო ენერგიით და საქმისადმი უანგარო სიყვარულით ემსახურება დასახულ მიზანს—ჩვენი მოზარდი თაობის თვითმოქმედებას და საღ ნიადაგზე მის გონებრივ აღზრდა განვითარებას: მთელი თავის არსებობის განმავლობაში ჟურნალი ავრცელებდა მათ შორის ქართველ მწერალთა ორიგინალურ ნაწარმოებთ და უცხოების თვალსაჩინო მწერლების თხზულებათა თარგმანებს, აღვიძებდა მათში სხვა და სხვა სათნო გრძნობებს, ამახვილებდა მათ ნორჩ გონიერებას და ასწავლიდა, აჩვევდა მათ ფიქრ აზრების ლამაზ, დახვეწილ ქართულ ფორმაში ჩამოყალიბებას.

ასეთს სამსახურს უწევდა ჟურნალი „ნაკადული“ ჩვენს მოზარდ თაობას ყოველთვის უყოყმანოთ, შეუფერხებლივ და ერთნაირი თავგანწირულებით, თუმცა ძველი წესწყობილების მთავრობა ათასნაირ დაბრკოლებას უქმნიდა და სცდილობდა ბოლო მოეღო მისი სასარგებლო არსებობისათვის.

1918 წელს კი, როდესაც ცხოვრების პირობები წინანდელთან შედარებით ძალიან შეიცვალა და გაძნელდა, ჟურნალის ხელის მომწერთა რიცხვმაც იკლო; წინათ თუ მათი რაოდენობა 1500 ით განისაზღვრებოდა, ეხლა ჟურნალს ათასამდე კაცი ძლივსღა იწერს.

ამას ზედ დაერთო ქაღალდის უშოვნელობა, მისი ღირებულების გადიდება და ბეჭდვის ფასების არაჩვეულებრივად აწევა. ყველა ამ გარემოების წყალობით ჟურნალ „ნაკადულის“ არსებობა დღეის შემდეგ უკვე საეჭვოა და თუ მას დროზე არ აღმოეჩინა სისტემატიური დახმარება, თუ ამ კულტურულ წუთში მას ნივთიერად ზურგი არ გაუმაგრდა, რედაქცია იძულებული იქნება ჟურნალის გამოცემა მოსპოს და ამ რიგად ჩვენს მოზარდ თაობას მოაკლოს ის სულიერი საზრდო, რომელსაც იგი ასეთი სიყვარულით აწვდიდა მას მრავალ წელთა განმავლობაში.

ქართული საბავშვო ჟურნალი კი განსაკუთრებით დღეს არის საჭირო; სკოლა გაეროვნებულია, ჩვენი თაობა გონებრივად იზრდება და ვითარდება განსაკუთრებით მშობლიურ ენის საშუალებით და, თუ გვინდა ნორმალი მიმართულება მივსცეთ ეხლანდელს და მომავალ თაობათა განვითარებას, მაშინ სულიერი საზრდოც, (რომელიც მარტო სახელმძღვანე-

ლოებით არ განისაზღვრება და რომელსაც შეადგენენ აგრეთვე საბავშვო ჟურნალები, საკითხავი ორიგინალი და ნათარგმნი წიგნები და ხელსაწყოები) ქართულ ენაზე უნდა მიეცეს. ამისათვის განათლების სამინისტროს აზრით, აუცილებლივ საჭიროა ნივთიერად ხელი გაუმართოს არა მარტო არსებულ საბავშვო და საყმაწვილო პერიოდულ გამოცემებს არამედ მიღებულ იყოს ზომები ჩვენი ერთობ ღარიბის საბავშვო ლიტერატურის გამდიდრებისათვისაც, რაც შესაძლებელი იქნება უცხოეთის მწერალთა საუკეთესო თხზულებების გადმოთარგმნით და დაბეჭდვით.

კერძოდ ჟურნალ „ნაკადულის“ ძველებურად წესიერი არსებობისათვის, ე. ი. თუ კვალადაც ორ სერიად გამოვა; მცირე წლოვანთათვის (7-10 წლამდე) თვეში ორ წიგნად და საშუალოსათვის (10-14 წლამდე) ერთ წიგნად, თვითოეული წიგნი კი ათას ცალად, საჭირო იქნება ყოველთვიურად არა ნაკლებ ათი ათასი მანეთისა.

მოვახსენებ რა ზემოაღნიშნულს, ვშუამდგომლობ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა საბავშვო ჟურნალს „ნაკადულს“ თავის ხარჯების დასაფარავად მიეცეს ყოველთვიურად ათი ათასი მანეთი, თანახმად ამასთანავე დართულ ხარჯთ აღრიცხვისა.

განათლების მინისტრის ამხანაგის ბრძანებიდან.

განათლების მინისტრის ამხანაგის ბ ნ ნოე ცინცაძის განკარგულებით საქართველოს მუზეუმის სპეციალისტებად დამტკიცებულნი არიან:

1. ალ. თვალჭრელიძე მინერალოგი ამა წლის 1 სექტემბრიდან.
2. ალ. სვანიძე ბიბლიოთეკის გამგეთ ამა წლის 1 ენკენისთვიდან.
3. ბ. პ. უვაროვი ბიოლოგიის განყოფილების დროებით გამგეთ ამა წლის 15 მარიამობისთვიდან.
4. ბ. კ. შიშკინი დროებით ბოტანიკოსად ამა წლის 15 მარიამობისთვიდან.

საშუალო სკოლების პროგრამების შემუშავება.

განათლების სამინისტროში ყოველდღე ხდება თათბირი ტფილისის საშუალო სკოლების დირექტორებისა და ცნობილი პედაგოგებისა, უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარგამგის ბ ნ ს. დანელიას თავმჯდომარეობით, საშუალო სკოლებისათვის ყველა საგნებში პროგრამის შესამუშავებლად.

საგარეო საქ. სამინისტროში

ოლივ. უარდროპის გამგზავრება მცხეთაში

გუშინ შუადღის ორ საათზე ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ამიერ კავკასიაში ადმირალ დერობეკის და 12 კაცისგან შემდგარ ამალის თანხლებით ტფილისიდან მცხეთაში გაემგზავრა ავტომობილით მცხეთის მონასტრის დასათვალიერებლად.

წერილების მიღება უცხოეთიდან

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ორასამდე კერძო წერილი მიიღო საფრანგეთიდან გერმანიიდან. ადრესატების გვარების სია გამოფენილია სამინისტროში.

საკომერციო აგენტი მინისტრთან

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგა პარიზიდან ამ დღეებში დაბრუნებული საქართველოს საკომერციო აგენტი ი. ჯაბადარი და მოხსენება წარუდგინა მინისტრს.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

სათესლე ხორბლის გაგზავნა ახალქალაქის მაზრაში.

მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებამ განკარგულება გასცა, რომ ახალქალაქში გაიგზავნოს 3,000 ფუთი სათესლე ხორბალი.

სასოფლო სამეურნეო იარაღის გაგზავნა.

გადასახლების განყოფილებამ ახალქალაქში უკვე გაგზავნა 48 ფუთი სხვა და სხვა წვრილი სასოფლო სამეურნეო იარაღი, როგორც მაგ. წალდები, ცელები და სხ.

დასახლებელ თავისუფალ ადგილების გამორკვევა.

ახალქალაქის მაზრიდან დაბრუნდა მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილების რწმუნებული ტლაშაძე, რომელმაც ჩამოიტანა ცნობები დასასახლებლათ გამოსადეგ თავისუფალ ადგილების შესახებ.

ჭაობიან ადგილების დაშრობა.

საქართველოს რესპუბლიკის წყალთა სამმართველო ამ ჟამად იმუშავებს ქ. სამტრედიის ახლო მახლო მდებარე ჭაობიან ადგილების დაშრობის პროექტს.

კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელთა მეხუთე ყრილობა

9 ოქტომბრის სხდომა.

9 ოქტომბრის სხდომა.

ოთხშაბათს, 9 ოკტომბერს ქ. ტფილისში გაიხსნა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 253 დელეგატი. დელეგატები ყველა საქართველოდან არიან. პარტიათა ძალთა განწყობილება ასეთია: სოც. დემ —152. სოც. ფედ.—55, უპარტიო—21, სოც. რევ.—10, ნაც. დემ.—8, კომუნისტი—3, დაშნაკელი—3, კადეტი—1.

ყრილობა გახსნა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა გამგეობის სახელით **ევგენი დარჩიამ**, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც კოოპერატივებმა შეასრულეს ამ ეკონომიურ არევ-დარევის დროს. მან აგრეთვე ყრილობის მოაგონა ჩვენში კოოპერატიულ მოძრაობას, დაწყების ისტორია და ის მძიმე პირობები, რომლის გადალახვა მათ მოუხდათ. კოოპერატიული ორგანიზაციები—სთქვა მან, წარმოშვა დემოკრატიამ, ამიტომ ჩვენს დემოკრატიულ წყობილებაში კოოპერატივებმა უნდა განაგრძონ თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა და ყველა ეკონომიურ ორგანიზაციებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული გააჯანსაღონ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური მხარე.

შემდეგ ის მოუწოდებს ყრილობას პრეზიდიუმის არჩევისაკენ.

თ. ღლონტი ზედამხედველ საბჭოს სახელით პრეზიდიუმში არდგენს შემდეგ სიას: „თავმჯდომარეთ: **ის. რამიშვილი**, მის ამხანაგებათ: **გრ. ურატაძე** და **ხ. მაჭავარიანი**, მდივნებათ: **საბაშვილი** და **თაქთაქიშვილი**.

პრეზიდიუმი იკავებს თავის ალაგს. თავმჯდომარე რამიშვილი, რომლის გამოსვლას ყრილობა მხურვალე ტაშით ხვდება, შემდეგი სიტყვით მიმართავს ყრილობას: მე ვიცი დიდი მნიშვნელობა კოოპერატივებისა საერთოდ და განსაკუთრებით დღევანდელ კრიზისის დროს, როცა ის კვებავს და მოსავს მშიერ და ტიტველ ხალხს, იცავს მას ფიზიკური განადგურებისაგან. საერთაშორისო ომმა, როგორც იცით, არევ-დარია ეკონომიური ცხოვრება, გაატიტვლა და დაამშია ქვეყანა ჩვენ ისე ვერ ვცხოვრობთ, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ არც ისე უბედურნი ვართ, როგორც სხვაგან არიან. ჩვენში ჯერ კიდევ არ ასულა ბავშვთა სიმშილით სიკვდილიანობა 60—80 და და 100 პროცენტამდე, როგორც ეს არის ზოგიერთ ქვეყნებში. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას და ცხოვრებას. თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა დიდი მუშაობა იყო საჭირო რომ ასეთი მდგომარეობა ასე გადაგვეტანა. მართალია, ბევრი გაგიკეთებიათ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გრძელი გამოდგა თქვენი გზა, დიდი უნდა იყოს თქვენი მოთმინება და ენერგიული. თქვენ აქ შეიყარენით იმისთვის, რომ ერთმანეთს გაუზიაროთ სიხარული და მწუხარება, ცოდნა და გამოცდილება. თქვენ თვალს გადაავლებთ აგრეთვე წარსულში დაშვებულ შეცდომებს. ჩემი რჩევაა—ნუ მოარიდებთ თვალს იმ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ექნებოდა თქვენს მუშაობაში, გაითვალისწინეთ სამუშაო გეგმა მომავალი მოქმედებისათვის და შემდეგ ისევ შეუდექით თქვენს საყვარელ საქმეს.

მე ვიცი, რომ თქვენ უყვარხართ იმ ხალხს, რომელსაც ემსახურებით, მაგრამ ძულხართ და გდევნისთ ის ხალხი, რომელიც სხვისი ნაშრომით ცხოვრობს—სპეკულიანტები. სპეკულიაცია ფრთებ გაშლილი და კლანჭებ მოღერებული გადგასთ თავზე და ცდილობს თქვენს დაცემას, რათა შემდეგ წამოგაჯდეთ და კორტნა დაგიწყონ. თქვენ მას უნდა წააჭრათ ეს ფრთები და კლანჭები. ის თქვენ გიგონებსთ ტყუილებს, ჭორებს, რომ ჩაგკლან. ის, როგორც მატლი რომ ღრღნიდეს ადამიანის გულს, ისე ცდილობს თქვენი გულის დაღრღნას, რომ თვითონ იპარპაშოს, მაგრამ თქვენ მაინც ნუ გეშინიათ მისი. ჭირი ხვედრია უბადრუკ, უძლურ ადამიანთა. ამ ჭირებს თქვენ ადვილათ დაამარცხებთ. თქვენ გეშინოდეთ თქვენივე წრეში შემოპარულ სპეკულიანტებისა. ისინი გაიხვიენ სახალხო მოღვაწეთა ქურქში და შიგნიდან ღრღნიან გულს. ეს მართლაც საშიშია. შეებრძოლეთ ამ „შინაურ“ სპეკულიანტებს, გასწმინდეთ მათგან თქვენი წრე.

ნუ გაგიტაცებთ ანგარება, სჭამეთ თქვენ ნაკლები და აჭამეთ ხალხს მეტი. ნუ გეშინიანთ სიღარიბის, გეშინოდესთ სიმდიდრის (მხურვალე ტაში).

მთავრობის სახელით ყრილობას ესალმება შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი**. ის ამბობს: მთავრობის სახელით მოგესალმებით, თქვენ, ყრილობას.

ჩვენ ვიცით, რომ იმ სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნის დროს, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, გვჭირდება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ძალთა დახმარება. ვიცით აგრეთვე რომ ერთ დიდ დარგში ჩვენ სისუსტეს ვგრძნობთ იქ, სადაც საქმე ეხება სოციალურ და პოლიტიკურ დარგს. ჩვენ არ ვგრძნობთ სისუსტეს. ამ უკანასკნელ დარგში ჩვენ ძლიერნი ვართ. მთელი უკანასკნელი 20—25 წლის განმავლობაში მოწინავე ნაწილი დემოკრატიისა სოციალურ პოლიტიკურ გარდაქმნისაკენ მიისწრაფვოდა. აქ ჩვენი ენერგია მკვეთრია, ვით ბასრი ხმალი; მე ვამბობ, რომ სოციალურ პოლიტიკურ დარგში რანაირი საკითხიც არ უნდა გვედგას წინ, ჩვენ, როგორც ბრძოლაში გამოწრთობილნი, ავიღებთ იმ გზას, რომელიც შეიფერება ხალხის ინტერესებს და ნაკარნახევია დემოკრატიის სურვილებისაგან. მაგრამ არის ერთი სფერო, სფერო ფრიად მნიშვნელოვანი—ეკონომიური. აქ ჩვენ სუსტნი ვართ. ბევრ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. ომმა მეტისმეტი ღრმა ცვლილებები მოახდინა არა მარტო პატარა სახელმწიფოებში, არამედ დიდ სახელმწიფოებშიაც. აი ამ ცვლილებების ჩვენ საკეთილდღეოთ გამოყენებას ვერ ვახერხებთ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ძალები სუსტია. ეს, როგორც მოგახსენეთ, მრავალგვარ პირობებისაგანაა გამოწვეული. საერთაშორისო ომმა ნიადაგი გამოაცალა მანჩესტერულ სკოლას (ვაჭრობის თავისუფლების სკოლაა პოლიტიკურ ეკონომიაში). ის დღეს არც ერთ დიდ სახელმწიფოს არა სწამს. ის არ შეუძლია იწამოს არც ჩვენ პატარა სახელმწიფოს.

ამ ახალ საქმეში ჩვენ სუსტი ვართ, მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებული ვართ: როცა შეადარებთ პატარა მდინარეს პატარ-პატარა რუები ერთვის, ის ძლიერდება და დიდ მდინარეთ ხდება. მე მგონია, რომ ჩვენი სუსტი ძალა შეუკავშირდება თქვენს სუსტ ძალებს, შეუკავშირდება აგრეთვე სხვა და სხვა ეკონომიურ ძალებს და მაშინ ის საკმაოდ ძლიერ სძლევს იმ დაბრკოლებებს, რომელნიც დღეს ჩვენ გვეღობება წინ ეკონომიურ სფეროში და შექმნის ახალ ეკონომიურ ორგანიზმს. საფუძველი ჩაეყრება იმ მტკიცე სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნას, რომლისთვისაც ჩვენ მივესწრაფვით და ჩვენ მიერ იდეალათ დასახულ წყობილებაში გადასვლა გაგვიადვილდება. ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ ეკონომიკა საფუძველია პოლიტიკური წყობილების. ამიტომ მთავრობას სწამს, რომ მას შეუძლია იაროს მხოლოდ ერთი გზით, მთავრობის გზაა: საზოგადოებრივი მეურნეობისათვის ხელის შეწყობა; მე იმედი მაქვს, რომ თქვენ გაიგებთ ამ გზას, გაიმსჭვალებით იმ აზრებით, რასაც თქვენ გიკარნახებთ კოოპერაციის პრინციპები და ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლით მთავრობასთან. მთავრობა კი მზათ იყო, არის და იქნება თქვენთვის სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. მე სრული იმედი მაქვს, რომ თქვენი ძალების დახმარებით მთავრობას მისცემთ საშუალებას, რომ მან თავისი სუსტი, მაგრამ იდეური მხრით, მდინარის ძალები გააძლიეროს. მე კიდევ სალამს გიძღვნით იმ რწმენით, რომ ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებულნი ვივლით საკაცობრიო იდეალებისაკენ და ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიური ორგანიზმის შექმნას მტკიცე ნიადაგს ჩაუყრით (მხურვალე ტაში).

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების წარმომადგენელი პროფესორი ალ. **მილაშევსკი**, რომელიც ეხება მოსკოვის ბანკის მუშაობას ტფილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და შემდეგაც. ის აღნიშნავს იმ სოლიდარულ მუშაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბანკის და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის შორის და ამბობს, რომ შექმნილ პოლიტიკური პირობების გამო საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის გაერთიანება შეუძლებელი ხდება, მაგრამ ეს გარეგნულად. არსებითად კი ამ კოოპერატივებს შორის იქნება სრული იდეური სოლიდარობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ნამდვილი კოოპერატორები, რუსეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი თანაგრძნობით უყურებს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (ტაში).

პროფესორი **ტოტომიანცი** (კოოპერატორი) ესალმება ყრილობას საერთაშორისო კოოპერაციის სახელით. ის ახასიათებს დასავლეთ ევროპაში კოოპერატიულ მოძრაობას და ამბობს: ომის განმავლობაში ევროპაში კოოპერატიული მოძრაობა, როგორც აქ, ძალიან განვითარდა. ახლა კოოპერატივების მოძრაობის გაფართოებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ მის გაღრმავებაზე: სურთ კოოპერაციის მორალური მხარე ასწონონ.

ინგლისში ამ ჟამად მომხმარებელ კოოპერატივის წევრთა რიცხვი უდრის 4 მილიონს, წლიური ნავაჭრი 80 მილ. გირვ. სტერლინგს. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია სასოფლო მეურნეობაზე. ინგლისში დიდი აგიტაცია სწარმოებს იმისათვის, რომ პარლამენტში ადგილი დაეთმოს კოოპერაციის პარტიას.

გერმანიაში მიუხედავათ იქ შექმნილ მძიმე პირობებისა, როგორც მომხმარებელმა ისე საკრედიტო კოოპერატივებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. გერმანიაში კოოპერატივებს მთავრობაში ადგილს უთმობენ, რაც მოწმობენ კოოპერატივების დიდ გავლენას საზოგადოებაზე.

საფრანგეთში ომის დროს მოხდა რადიკალური ცვლილება კოოპერატიულ მოძრაობაში წინეთ მთავრობა აქ უარყოფით უყურებდა კოოპერატიულ მოძრაობას, ომის დროს კი მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა კოოპერატივებს ფულის მოწოდებით შეიქმნა სამხედრო კოოპერატივი, რომელიც მთელს საფრანგეთის ფრონტს აწვდიდა სურსათ-სანოვაგეს.

შვეცია და დანიაში მწვავეთ არ იგრძნეს მცხოვრებთ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა კოოპერატივების დახმარების გამო.

იტალიაშიც კარგათ არის განვითარებული კოოპერატიული მოძრაობა, კოოპერატივები იქ საუკეთესო ადმინისტრატორებსაც იძლევიან. კოოპერატივებს იქ მინისტრის პორტფელსაც ხშირათ აბარებენ.

ასეთია ამ უკანასკნელ ხანებში კოოპერატიული მოძრაობა დასავლეთ ევროპაში. მე მწამს, რომ აქ საქართველოს კოოპერატივიც შეუერთებს თავის ხმას საერთაშორისო კოოპერაციას მით უმეტეს კოოპერაციას, არ სწამს სახელმწიფო საზღვრების გადაულახველობა, კოოპერატივები ყოველთვის სოლიდარულათ არიან ერთმანეთთან განწყობილნი ისინი არას დროს არ ჩხუბობენ. ომის დროს ინგლისის კოოპერატივებს კავშირი არ შეუწყვეტიათ გერმანიის კოოპერატივებთან. ერთხელ კიდევ სალამი ჩემგან თქვენს ყრილობას (მხურვალე ტაში).

კოოპერატიული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება **შ. გოგებაშვილი**.

შემდეგ მალე მისასალმებელ სიტყვას ამბობს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი**; „მე მოვედი თქვენთან არა როგორც მინისტრი, არამედ, როგორც ამხა-

ნაგი კოოპერატორი (ტაში) მე თქვენს წრიდან გამოსულს, არ შემიძლია ერთი წუთითაც დავივიწყო, რომ კოოპერატივს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ეკონომიურ სფეროში. ორატორი იგონებს კოოპერატიული იდეიისთვის ძველ ბრძოლას და ამბობს, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ნაძირალების მოძრაობა კოოპერაციის წინააღმდეგ დაიწყო სპეკულიაცია, ის თქვენს წრეში შეიჭრა და თქვენი ვალია მასთან სასტიკი ბრძოლის წარმოება. დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ქალაქი სოფელს მოწყდა. კოოპერატივებმა და ერობებმა უნდა გააბან ქალაქსა და სოფელს შუა ძაფი, კოოპერატივებმა უნმოჰკიდონ წარმოებას ხელი და სოფელს მიაწოდონ მისთვის საჭირო საგნები. ჩვენი კოოპერაცია საერთაშორისო ცხოვრებაში გამოდის ის გზავნის თავის წარმომადგენელს საერთაშორისო კოოპერაციის ყრილობაზე. გაუმარჯოს საქართველოს კოოპერაციას, გაუმარჯოს საერთაშორისო კოოპერაციას (მხურვალე ტაში). სოც ფედერალისტების სახელით ყრილობას ესალმება ს. **დადიანი**, რომელიც აღნიშნავს კოოპერაციის დიდ მნიშვნელობას მომავალი წყობილებისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ.

საქართველოს სოც. დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. გრ. **ურატაძე**, თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი პარტია კოოპერატივების დაარსებაში და შიგ მუშაობაში, ეს აქტიური მუშაობა და მონაწილეობა ჩვენი პარტიისა ცოტათი მაინც და, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენს პარტიას კოოპერაციაზე შეხედულება შეეცვალოს, არამედ ეს არის გამოწვეული ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით ისტორიამ მეტათ მძიმე ტვირთი აჰკიდა ჩვენს პარტიას: ის გახდა სახელმწიფოებრივ პარტიად და ჩაება ამ მუშაობაში. არავინ არ გრძნობს სადიადეს და მნიშვნელობას კოოპერატივებისას ისე როგორც ჩვენი მმართველი პარტია. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება აწეწილ დაწეწილია და ჩვენი პარტია ფიქრობს, რომ ამას შეძლების და გვარად გამოასწორებს კოოპერაცია. (ტაში)·

წაკითხულ იქნა რამოდენიმე მისალმების დეპეშები, შემდეგ განხილულ და მიღებულ იქნა ყრილობის რეგლამენტი. სხდომები მოხდება დილ დილობით.

გერმანიის სასწავლებლები

მის აღმატ. სწავლა-განათლების მინისტრს ნოე რამიშვილს:

მოხსენება

ვიდრემდის ქვემდებარე მოხსენებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სწავლა განათლების სამინისტროს გადავცემდე, არ შემიძლია ჩემი უგულითადესი მადლობა არ გადაუხადო იმ პირთ, რომელნიც გულმხურვალედ მშველოდენ ამ მოხსენებისათვის საჭირო ცნობების მოგროვებასა და დალაგებაში. მადლობას უძღვნი გერმანიის განათლების სამინისტროს უნტერშტაატსსეკრეტარს გეჰაიმრატ ბეკერს, რომელმაც კეთილ ინება და ცნობები მომაწოდა გერმანიის სასწავლებლების შესახებ. მადლობას უძღვნი ჩემს მეგობარს, ქართული ენის ლექტორს ბერლინის უნივერსიტეტში, დოკტორ რიჰარდ მეკელაინს, რომელიც ერთგულად მშველოდა ამ საქმეში. ეს მოხსენება შევადგინე განათლების სამინისტროს დავალებით. მას განგებ მივეცი კონსპექტალური ხასიათი, რადგანაც ჩემის აზრით ეს უნდა იქნას ერთგვარი „ცნობათა წიგნი“ სამინისტროში სახელმძღვანელოდ.

გერმანია თუმცა პოლტიკურად დამილიტარულად დამარცხდა, მაგრამ კანტისა და გოეთეს სამშობლოს კულტურულად დამმარცხებელი, ჯერ არავინ გამოჩენილა მსოფლიო ჰისტორიის ჰორიზონტზე. იგი კვლავ დარჩა „მგოსნებისა და ფილოსოფოსების სამშობლოდ“. უეჭველია ჩვენი მოზარდი თაობა ამიერიან გერმანიას მიაშურებს, როგორც დასავლეთის დიდი კულტურის პირველ წყაროს. ჩვენი მცირეოდენ წვლილს დიდის ხალისით ვიღებთ საქართველოს ახალგაზდობის მომავლისათვის.

მე დღესაც გულწრფელად მჯერა, რომ ქართული კულტურისა და ცივილიზაციის წამოყენება მხოლოდ ევროპიულ ცოდნითა და სწავლით აღჭურვილ თაობას შეუძლია, ამ მოხსენების მიზანიც სავსებით მიღწეული იქნება თუ ამ თაობას ეს მცირე ცნობათა წიგნაკი გამოადგება.

ბერლინის უნივერსიტეტის ფილ. დოქტორი **კ. გამსახურდია**.

ტფ. ოქტ. 3-ს.

გერმანული სასწავლებლები

შესავალი.

ფილ. დოქტორის კონსტანტინე გამსახურდიას რედაქციით შედგენილი.

გერმანიის უმაღლესი სასწავლებელი დაგვირგვინებაა იმ თვალსაჩინო სასკოლო სისტემისა; რომელიც გატარებულია გერმანიის ყველა სასწავლებლებში. უმაღლესმა სასწავლებელმა მიტომაც მიიღო—წარმატება, რადგანაც თვით მისი ძირითადი პრინციპიები ფართე ნიადაგზე იყვნენ გაშლილი და გერმ. უმაღლეს სასწავლებლის კარები მუდამ ღია იყო ყოველი კლასის ყოველი წოდებისათვის.

არც ერთ კულტურულ ხალხს არ გაულია იმდენი სიყვარული და ზრუნვა თავის სასწავლებისათვის, როგორც გერმანიის ხალხს.

ამიტომაც ყველაზე უწინ მთელს ევროპაში პირველად გერმანელებმა შემოიღეს სავალდებულო სწავლა განათლება, რაც შეძლებას აძლევდა ყოველი წრის წარმომადგენელს, სწავლა განათლებას დასწაფებოდა.

პრუსიაში პირველად 1717 წელს შემოიღეს სავალდებულო სწავლა. მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში სხვა დანარჩენმა გერმ. პატარა სახელმწიფოებმაც მიჰბაძეს პრუსიის მაგალითს. სავალდებულო სწავლების შეძლების პლანი საფრანგეთში 1848 შეიმუშავეს.

ინგლისმა მხოლოდ 1870 წლის აგვისტოს გამოსცა კანონი სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ.

იტალიამ 5 წლით გვიან ე. ი. 1875 წელს აღიარა სავალდებულო სწავლა-განათლების საჭიროება.

ბელგიაში 1913 წლამდის არ შემოუღიათ სავალდებულო სწავლა-განათლება. მხოლოდ გერმანელებმა განახორციელეს ბელგიაში სავალდებულო სწავლის კანონი 1914—15—16 წლებში.

სავალდებულო სწავლა გერმანიაში 8 წელს გრძელდება, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს ასწავლიან უფასოდ, სახელმწიფოს ხარჯზე 6 წლიდან 14 წლამდის. ვისაც ჰსურს შინაური სწავლა მიაღებინოს თავის შვილს, მან უნდა დოკუმენტალურად დაამტკიცოს, რომ მისი ბავშვის განათლება არ დაბრკოლდება სახალხო სასწავლებლიდან გაყვანით. თვით ულარიბეს მოქალაქეს შეუძლია უფასოდ აღზარდოს თავისი შვილი, საჭიროებისამებრ ღარიბების შვილებისათვის არიგებენ უფასოდ რვეულებსა და წიგნებს. ამ უკანასკნელ დროს უპატრონო და ღარიბ ბავშვებისათვის დარსდა მრავალ ნაირი საქველმოქმედო დაწესებულებანი.

გერმ. სახელმწიფო და საზოგადოება არაფერს იშურებს სასწავლებლის კეთილად წარმათებისათვის, ამ მიზნისათვის დიდი მსხვერპლი იწირება ორივეს მხრით.

1911 წელს გერმანიაში 61,557 სახალხო სასწავლებელი იყო. ამ სასწავლებლებში 10 მილიონი ბავშვი ეწაფებოდა სწავლა განათლებას. ამ სასწავლებლებში 148, 217 მასწავლებელი და 39.268 მასწავლებელი ქალი მუშაობდნენ. სახალხო სასწავლებლების შენახვა 669,836,578 მარკა ჯდებოდა, აქედან 213,919,963 მარკას იხდიდა სახელმწიფო 456,016,615 სხვა და სხვა საზოგადოება. სახელმწიფოს მიერ ასეთმა თავგამოდებულმა ზრუნვა ხალხის სწავლა განათლებისათვის კეთილი ნაყოფიც გამოიღო. დღეს გერმანიაში იშვიათად შეჰხვდებით ანალფაბეტს (წერა-კითხვის არ მცოდნე) უახლესი სტატისტიკა შემდეგ საგულისხმო ცნობებს იძლევა ევროპიელ ხალხების სწავლა განათლების შესახებ. 10,000 რეკრუტებს შორის.

1) გერმანიაში 2 აღმოჩნდა წერაკითხვის არ მცოდნე.
2) ინგლისში—100 „ „
3) საფრანგეთში—400 „ „
4) ბელგიაში—833 „ „
5) იტალიაში—3072 „ „

ნურავინ იფიქრებს, რომ სწავლა-განათლება გერმანიაში ამით განისაზღვრებოდეს. ადამიანის ჰასაკი 14-დან 18 წლამდის ან 20 წლამდის მთავარი ხანაა სასწავლებლად. ამის შემდეგ ბავშვებს უგზავნიან ეგრედწოდებულ „ფორტბილდუნგს შულე“-ში. (ფორტბილდუნგს შულე სახალხო სასწავლებლის შემდეგი საფეხური). უკანასკნელი დაყოფილია სხვა და სხვა სპეციალობად: სამკერვალო, სახელოსნო და სხვა პროფესიონალურ და ტეხნიკურ ხასიათის სკოლებად. ამ სასწავლებლებში ასწავლიან სხვა და სხვა ხელსაქმეს და ხელობას, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს. ამ სასწავლებლებში ეზრდება გერმანელი ხალხის მომავალი—მისი ახალგაზდობა კულტურული მუშაობისათვის.

აგრეთვე უცხოელების შვილებსაც შეუძლიათ გერმანიაში სწავლის მიღება. თავიანთი საკონსულოების საშუალებით იღებენ ასეთნი გერმანიაში უფასო სწავლის მიღების უფლებას.

საჭირო ცოდნა რაც სჭირდება ქარხნის მუშებს, სხვა და სხვა პროფესიის და ხელობის ხალხს შეიძლება კაცმა დაბალი და მაღალი საფეხურის სახალხო სასწავლებლებში შეითვისოს.

ხოლო ერთგვარ ხიდის მაგივრობას ამ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის, სწევენ

საშუალო-სასწავლებლები

იგი შესდგება 6 მაღალი კლასისაგან. სახალხო სასწავლებლის 3 კლასიდან მოწაფეს შეუძლია საშუალო სასწავლებლებში გადავიდეს.

აგრედ წოდებული სახელოსნო სასწავლებლებში იძენენ მოწაფეები ტეხნიკურ ცოდნას, მათი მიზანია მოწაფეთა მომზადება ამა თუ იმ პროფესიისათვის, ამა თუ იმ ხელობისათვის.

ამათ ეწოდება: „ფახშულენ“ ან სახელოსნო სასწავლებლები.

საზოგადო განათლებას იმდენად აქცევენ ყურადღებას ასეთი ტიპის სასწავლებლები, რამდენათაც ეს საჭიროა ლექციებისა და ექსპერიმენტების გასაგებად.

ამ სასწავლებელებს მიზნადა აქვს განსაკუთრებული პრაქტიკული სარგებლიანობა. ისინი ამზადებენ ადამიანს ხელობისათვის, ამა თუ იმ მოწოდებისათვის, უვითარებენ შაგირდებს შორეულ ცხოვრებაში მოწყობის უნარს. ცხოვრების პრაქტიკული მოსაზრებათა გასანვითარებლადაა ეს სასწავლებლები დაარსებული.

გერმანიაში დღეს არც ერთი ხელობა არ მოიპოვება, რომლისთვისაც შესაფერი სასწავლებლებიც არ იყოს გახსნილი.

როგორც სხვა სასწავლებლებს, ისე ხელობათა სასწავლებლებსაც სამი საფეხური აქვს: დაბალი, საშუალო და უმაღლესი.

დაბალი სასწავლებლები ამზადებენ: მკინძავებს, მებაღეებს, დურგლებს, კალატოზებს, მეზოსტნეებს, ხარაზებს და სხვა.

უმაღლესნი: საზღვაო, სამთო, სამეურნეო, სავაჭრო, საამშენებლო აკადემიები, პოლიტეხნიკუმები, საშუალო: ფოსტის, ვაჭრობის, ტყის მცოდნეთა საწვრთნელი, მანქანების საშენებელი და სხვა ტეხნიკური საშუალო ტიპის სკოლებიც მრავლად მოიპოვება.

ქალებისათვისაც მრავალი სასწავლებელია გახსნილი:

მოიპოვება ქალების სხვა და სხვა საპროფესიო სასწავლებლები. აქვე ამზადებენ მასწავლებელ და აღმზრდელ ქალებს.

საპროფესიო სასწავლებლებშივე ამზადებენ ქალებს მებაღეებად, ქიმიკოსებად, ფოსტის, ტელეგრაფის, მოხელეებად.

უმაღლესს სწავლისათვის და თანამდებობათათვის ამსადებს მათ.

მაღალი სასწავლებლები.

უკანასკნელნი 3 კათეგორიად განიყოფება: გიმნაზია, მაღალი რეალური და რეალური გიმნაზია „რეალ გიმნაზიუმ“. აქვე ასწავლიან: გერმანულ, ფრანგულს, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნების მეტყველებას, მათემატიკას, ხატვას, ხაზვას და ტანთვარჯიშობას. საშუალო სასწავლებელში ეყრება საზოგადო განათლებას საფუძველი.

9 გიმნაზიური კლასის გათავების შემდეგ გზა ეხსნება მოწაფეებს უნივერსიტეტსა. და უმაღლესს სასწავლებლებში.

ამ სამი ტიპის სასწავლებლებში ძირითადი მიზანი ერთია, მხოლოდ მეთოდი სწავლისა სამივეში სხვა და სხვაა.

გიმნაზია.

აძლევს მოწაფეთ ჰუმანიტარულ, კლასიკურ განათლების ფუძეს. გიმნაზიებში საუცხოვოდაა დაყენებული. ბერძნულისა და ლათინურის სწავლა აქ ამზადებენ ანტიური კულტურის შესათვისებად.

მაღალი ტიპის რეალურ სასწავლებელში

(„ობერრეალ შულე“).

ძველ ენებს არ ასწავლიან, სამაგიეროდ მთელი ყურადღების მძიმე ფრანგულისა, ინგლისურის და ბუნების მეტყველების შესასწავლისაკენაა მიქცეული.

რეალ-გიმნაზია.

ერთგვარი საშუალო ტიპის სკოლაა გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელს შორის. აქ ასწავლიან დიდის ყურადღებით როგორც მათემატიკურ და ბუნების მეტყველებით მეცნიერებათ, ისე ლათინურსაც.

გერმანული საზოგადოება მუდამ დიდის სიყვარულითა და ყურადღებით ეპყრობოდა თავის სასწავლებლებს, იგი არასოდეს არ იშურებდა მსხვერპლს ამათ გასაუმჯობესებლად, იგი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ სასწავლებლების ტიპი გაეუმჯობესებია და მართლაც დღეს გერმანიის სკოლა ყველა კულტურულ ხალხების სამაგალითო ნიმუშადაა გამხდარი.

უკანასკნელ დროს გერმანიაში შემოიღეს აგრედ წოდებული „რეფორმგიმნაზიუმ“.

ეს სასწავლებელი ერთგვარი სინტეზია ქვემორე მოხსენებულ 3 ტიპის საშუალო სასწავლებლებისა. რეფორმ გიმნაზიაში 3 წლის სწავლის შემდეგ ხდება სამკეცი სპეციალიზაცია, და ამ სამი დაბალი კლასის გათავების შემდეგ ყოველი მოწაფე ნიჭიერებისა და მისწრაფების მიხედვით ითვისებს ან გიმნაზიის, ან მაღალ რეალ სასწავლებლის, ან რეალ გიმნაზიის პროგრამას.

ზემოხსენებული მაღალი ტიპის საშუალო სასწავლებლებში სავალდებულოა განსაკუთრებული სწავლის ფულის გადახდა. ეს არ აღემატება 150 მარკას წლიურად.

საშუალო—მაღალი სასწავლებელი არსებითად ორი კათეგორიის მოწმობათ აძლევს მოწაფეებს: 1. „აინიერიგენ შაინ“ ს 6 კლასის დასრულების შესახებ (უნტერ სეკუნდა) ამ მოწმობის მიმღები მოვალეა მხოლოდ ერთი წელი იმსახუროს გერმ. ჯარში, ასეთივე მოწმობა საჭიროა, როცა სახელმწიფოს საშუალო მოხელეობას უნდათ მისდიონ. მოქალაქეთათვის ეს მოწმობა ფრიად საჭიროა პრაქტიკული მოსაზრებითაც სამხედრო ბეგრის შეღავათის მიხედვით.

2. მაღალი ტიპის საშუალო სასწავლებლის და 9 გიმნაზიურ კლასების („ობერ პრიმა“) დამთავრების შემდეგ მოსწავლეთ ეძლევა სიმწიფის მოწმობა, უკანასკნელი მათ გზას უხსნის როგორც უნივერსიტეტსა ისე სხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში. ბავარიაში ამ მოწმობის უამისოდ აფიცრის თანამდებობასაც ვერ მიიღებენ. გარდა ამისა სიმწიფის მოწმობა საჭიროა ყველა იმათთვისაც, ვისაც რაიმე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დაკავება სწადია მაგ. მსაჯულთათვის, ექიმობისათვის, ინჟენერებისათვის და სხვა.

უმაღლესი საქალებო სასწავლებელი.

ქალების სკოლას უკანასკნელ დროს დიდის ყურადღებით მოეკიდა გერმანიის საზოგადოება. უმაღლესს სასწავლებელში შესვლამდი ქალებმა უნდა დაასრულონ 10 კლასიანი საქალებო ლიცეუმი „ჰოერე მედჰენშულე“. უმაღლესს საქალებო სასწავლებლებში ქალებს სიმწიფის სახელმწიფო მოხემოწმობა.

ქალების სკოლას უმაღლესს სასწავლებელში უნდა დაჰყონ 2-დან 4 სემესტრამდის და შემდეგ იმათ დაუშვებენ სადიპლომო გამოცდებზე, პრაქტიკული მიზანია უმთავრესად ლეობა ქალთათვის.

ლაიპციგელი საქალებო სასწავლებელში

ორი განყოფილებაა: 1) პედაგოგიური. 2) სოციალ იურიდიული. პირველთათვის საჭიროა საქალებო სასწავლებლის დასრულების მოწმობა, მეორესთვის სოციალ საქალებო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ან და 5 სლის განმავლობაში შეთვისებული ავადმყო-

ფების მოვლის ცოდნის დამამტკიცებელი საბუთი. ამ უმაღლესს სასწავლებელში სემესტრში ახდევინებენ 125 მარკას.

2 „ობერლიცეუმ-“ხაში სამეცნიერო კლასით და ერთი სემინარიული წლით ამზადებს მასწავლებელ ქალებს.

3.) აგრეთ წოდებულ **შტუდიენ ანშტალტში** (ჩრდილოეთ გერმანიაშია) ისეთივე მიზნებია დასახული, როგორც გიმნასიაში, მაღალ რეალურ სასწავლებელში და რეალ. გიმნაზიაში. სამხრეთ გერმანიაში ასეთი ტიპის სასწავლებელში ორივე სქესის მოწაფეთ ასწავლიან.

უმაღლესი სწავლა.

გიმნაზიის, ობერ. რეალ. სასწავლებლის რეალურ გიმნაზიის და „შტუდიენ ანშტალტის“ დასრულების შემდეგ ქალებს შეუძლიათ ყველა გერმანულ უნივერსიტეტში შესვლა. თუ უმაღლესს სასწავლებელს პრაქტიკულ მოსაზრებით არ ათავებენ, ქალებს შეუძლიათ თეოლოგიური, იედიცინური და ფილოლოგიური მეცნიერებათა შესწავლა და აკადემიური ხარისხების დამსახურება.

უცხოეთში

(საქართველოს დეპ. სააგენტო)

იტალიური პრესა.

გაზეთების ცნობით, ფიუმეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. ფიუმეს დაიჭერს ხალხთა ლიგის სახელით რეგულიარული ჯარი.

ლისაბონიდან იუწყებიან, რომ ახალი პრეზიდენტი ალმიდა შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას, დღეს პრეზიდენტი ჯარის პარადს დაესწრება.

ნეაპოლიდან იუწყებიან, რომ დაბრუნდა იტალიის პოლიტიკური და კომერციული მისია, რომელიც ჰერცოგ სპოლეტის მეთაურობით იყო ბათუმში, ტფილისში და ბაქოში. მისიას ყველგან კარგად ხვდებოდენ. ტფილისში მისიის მისვლა ზეიმით იდღესასწაულეს და სალამო გაუმართეს.

ბრესტიდან ამერიკაში გაემგზავრა მოკავშირეთა მრავალრიცხოვანი კომისია.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იქ შესდგა ახალი კაბინეტი, სადაც შევიდა დიდი ვეზირი გენერალ ილზირ ფაშა და საგარეო საქმეთა მინისტრი მუსტაფა რეშიდი, სულთანის ირადეთი ახალ კაბინეტს მიენდო პარლამენტის არჩევნები და მოწვევა.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვილსონმა ღამე კარგად გაატარა, იმედი აქვთ რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

მაროკკოში აჯანყებულები ესპანელებს ნებდებიან. ბრძოლა სხვა და სხვა ადგილას გრძელდება აჯანყებულთა მხარეზე დიდი მსხვერპლია.

ფრანგული პრესა.

ბურჟუამ დეს სენატის წევრებს დაურიგა თავისი მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა ის, რომ საზავო ხელშეკრულება დამყარებულია სამართლიანობაზე და საფრანგეთი დაკმაყოფილებული იქნება პოლიტიკურად და ზღვაზე, რაც მან დაიმსახურა თავისი თავგანწირული მოქმედებით. ბურჟუა იმედოვნებს, რომ მოკავშირენი უარს არ ეტყვიან საფრანგეთის ფინანსიურ გარანტიებში და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ხალხთა ლიგის წესდებში არ შეიტანეს ომის საბოლოოდ აკრძალვა და დარწმუნებულია, რომ ეს პირობა მალე ექნება შეტანილი. მისი სიტყვით, საფრანგეთს არ უარყვია თავისი მოთხოვნილებანი და ხალხთა ლიგის საბჭოს პირველ სხდომაზევე წამოაყენებს მათ. შემდეგ ის სურვილს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის ახალშენების წარმომადგენელთა უფლება მიეცემათ ამ საბჭოში მონაწილეობისა. მისი აზრით ვილჰელმი პასუხისმგებელია იმაში, რომ მისი თაოსნობით იქნა დარღვეული ბელგიის ნეიტრალიტეტი, წინაღმდეგ ჰააგის კონფერენციის დადგენილებისა, და, როგორც სამართლიანობა მოითხოვს, სამართალში უნდა იქნეს ის მიცემული, დასასრულ, ბურჟუა მოითხოვს, დადასტურებულ იქნეს საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობათა შესრულებაც განამტკიცებს მოკავშირეთა ერთსულოვანებას მშვიდობიან დროსაც.

მოსკოვი, ოქტ. 9. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ჰელსინგფორსი, ოქტ. 1. 6 ოქტომბერს შეიკრიბება ლატვიის ეროვნული საბჭო. პირველ სხდომაზე ზავის საკითხზე ითათბირებენ.

მოსკოვი, ოქტ. 5. თეთრგვარდიელთა გაზ. „სვობოდნაია როსია“-ს ცნობით ფინეთის მთავრობამ ფინეთიდან რუსების გადასახლება დაიწყო. გადასახლებულთა რიცხვს ეკუთვნის ყველა, ვისაც ბოროტმოქმედებაში და სპეკულიაციაში მიუძღვის დანაშაული. ესენი იგზავნებიან საბჭოთა რუსეთში და იმ ოლქებში, რომელიც ჩრდილოეთ დასავლეთის რუსეთის მთავრობის ხელშია. ყველა ისინი, ვინც მტრულად უყურებს ფინეთის მთავრობას და ყველა ყოფილი ოფიცრები და ვინც სიმხედრო სამსახურში გადიოდნენ, მოვალენი არიან სადაც ბინები არ არის საკმარისი, იმ ადგილებში არ წავიდნენ.

ველიკიე ლუკი ოქტ. 7. გამოქცეულთა სიტყვით, პოლონელი ოფიცრები ლაპარაკობენ, რომ პოლონეთის და ლიტვის შორის ომი აუცილებელია. პოლონეთში არეულობაა. ციხეები სავსეა. მხოლოდ ვარშავაში 10,000 დაპატიმრებული.

საფრანგეთის მინისტრმა პიშონმა განაცხადა, რომ რუსეთში და ციმბირში მყოფი საფრანგეთის ჯარის უმეტესი ნაწილი უკვე წამოიყვანა. იქ დარჩა კიდევ 4200 კაცი.

ესტონიის პროფ. კავშირების ყრილობამ მოითხოვა მთავრობისაგან, რომ ფარული დიპლომატიას ესტნაში არ ექნეს ადგილი. 417 ხმით, წინააღმდეგ 52-სა ყრილობამ მოითხოვა ესტონიიდან ინგლისის ნისის გაძევება.

რიგაში ყუმბარით დასჭრეს თავდაცვის უფროსი.

ჩინეთის ქალაქ. ნანკინში სამი კვირაა, რაც ნავთსადგურის მუშების გაფიცვაა. ლიუდვის ჰაფენში მუშები ფრანგული ჯარისკაცებს თავს დაესხენ.

ესტონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა პოსკემ განუცხადა პრესის წარმომადგენლს, რომ ესტონიისთვის შეუძლებელი ხდება ყოველგვარი აზრი ბოლშევიკებთან ბრძოლის შესახებ; მეორე მხრით ესტონიის მთავრობას აზრი ებადება, რომ მოკავშირეებს ერთ სულოვანათ არ სურთ ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება. ამიტომ ესტონიის მთავრობამ გადასწყვიტა ქვეყნის ინტერესების მიხედვით იმოქმედოს და საბჭოთა რუსეთთან ზავის შესახებ დაიწყოს მოლაპარაკება.

სამხ. ც. ა. კომიტეტის დადგენილებით, ოქტომბრის დღესასწაულებისთვის გადადებული 40 მილიონი გადაეცემათ წითელი ჯარის ოჯახებს, 10 მილიონი კი დღესასწაულის მოსაწყობათ და აგიტაციისათვის. რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური პარტიის სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, რომელზედაც დაესწრო ათი ათასი ახალგაზრდა გლეხი მუშა დაადგინა გამოაცხადოს მობილიზაცია იმ ადგილებში, რომლებსაც დენიკინის საფრთხე მოელის. რუსეთის ახალგაზრდობამ დაადგინა ყველაფერი ფრონტს მისცეს, რაც კარგი არის ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა წრეებში.

ლონდონი, ოქტ. 8. ლონდონიდან იუწყებიან, რომ სამშაბათს სალამოთი ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით მინისტრთა კაბინეტის თათბირი შესდგა, რომელზედაც ირლანდიის საკითხი ირჩეოდა. ლოიდ ჯორჯის აზრით, ირლანდიას უნდა მიეცეს ისეთი კონსტიტუცია, როგორც ინგლისის სხვა ახალშენებს აქვს.

ლიონი, ოქტ. 8. ორშაბათს კლემანსომ დასავლეთის და ცენტრის ზოგიერთი დეპუტატები მიიღო და განუცხადა მათ, რომ წლობაზე ის დასვამს საკითხს, თუ პალატა კამათს გახსნის მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ. შემდეგ კლემანსომ სთქვა, რომ ის დაუყოვნებლივ გადადგომას აპირებს საერთო არჩევნების შემდეგ.

ლიონი, ოქტ. 8. სოფიიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის საზავო დელეგაციის ყოფილი თავმჯდომარე, თეოდოროვმა მეფეს თხოვნა გაუგზავნა თავის და მთელი კაბინეთის გადადგომის შესახებ. ახალს მთავრობას ალბად სტამბულინსკი შეადგენს. მთავრობაში სოციალისტები შევლიან. 1915 წელში სტამბულინსკი ციხეში იჯდა, როგორც ომის მოწინააღმდეგე.

ლიონი, ოქტ. 8 ვერ მოასწრო სერბიიდან ცნობის მოსვლამ ახალი მთავრობის დაარსების შესახებ. (დამახინჯებულია) მეთაურობით, როგორც მეორე დეპეშა მოვიდა ბელგრადიდან, რომელიც იუწყება, რომ პრინცმა რეგენტმა სკუპშონის თავმჯდომარე პეროვიჩს დაავალა მოკლე დროში შეადგინოს კოალიციონური სამინისტრო.

ლიონი, ოქტომბ. 8. ავსტრიის კანცლერმა რენნერმა გადასწყვიტა ეროვნულ ყრილობას განუცხადოს რომ იგი გადადგა.

ლიონი, ოქტ. 8 საფრანგეთის მთავრობამ გამოიმუშავა კანონ პროექტი ახალი არჩევნების წესრიგის შესახებ. დეპუტატთა პალატაში არჩევნები დანიშნულია 16 დეკემბრიდან 11 იანვრამდე. პარიზში ქალაქის არჩევნები ნოემბერში მოხდება. პროვინციალურ საბჭოებში კი დეკემბერში. არჩევნები მოხდება პუანკარეს მოადგილეს არჩევამდე.

ვიტებსკი. ოქტ. 8. თეთრლატიშელთა გარეშე საქმეთა მინისტრმა მეიეროვიჩმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა რომ ლატიშთა მთავრობამ ბოლშევიკებისაგან თავის დასაცავად მიმართა საზავო კონფერენციას თხოვნით შექმნას ნეიტრალური ზონა.

ველიკიე ლუკი. 7 ოქტ. მას შემდეგ, რაც ცნობა მოვიდა საზავო მოლაპარაკების შესახებ რიგაში საქონელი გაჰქრა. სპეკულიანტებმა საქონელი დამალეს იმ იმედით რომ რუსეთთან ვაჭრობა დაიწყება. ეკატერინოსლავში მოხალისეთა კონტრ რაზვედკამ დააპატიმრეს უკრაინის ბანკის მმართველობა და მოსამსახურეები. დაპატიმრებულთა შორის ქალებიც არიან.

პეტროგრადი, ოქტ. 9 „პრავდას რედაქციამ პეტერსისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „აქ, სამხედრო ფრონტზე სადაც დროებითი დამარცხება არის შემდეგი დეზორგანიზაციისა. წავიკითხე, რომ პეტერბურგი კიდევ იძლევა ახალ ძალებს ფრონტისთვის და იცის რა თუ რამდენიმე მისცა, გასაკვირველია, რომ ასე საწრაფოდ იზრდება ახალ-ახალი მებრძოლები. პეტერბურგი მაგალითად უნდა გახდეს ყველა ამხანაგებისათვის, რომლებიც მძიმე ბრძოლაში სულით ეცემიან. ისენი უნდა მოიქცენ პეტროგრადელების დაგვარად. ყველაზე ღრმა მადლობა პეტროგრადელებისთვის იქნება დიდი როლი მთელი ქვეყნის სოციალისტური რევოლიუციაში“.

ნიჟნი ნოვგოროდი. ოქტ. 9 (დამახინჯებულია) ის დადგენილებით ვოლგის პოლკის როტის კაპტერნაუსი მიხეილ ალექსანდრეს ძე შიპოვი დახვრიტეს; რადგან ის წითელი ჯარის ტანისამოსს სისტემატიურად იპარავდა. სორმოვის ქარხნის მუშებისათვის გამოიმუშავეს დაახლოვებითი გეგმა ახალშენების დაარსების შესახებ. პირველ ხანებში მოაწყობენ 1200 ოჯახს. თითოეულ ოჯახს ექნება ცალკე სახლი და მიწის ნაჭერი დანარჩენ მიწას კომუნისტურ საფუძველზე დაამუშავებენ.

მილიციაში

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა შემდეგი პირნი: ჯიბგირები: 1. ბარუხ. მანაშეროვი 2. ანტონ ლეონტიევი, 3. გუსეინ ამასტიანი, 4. აკაკი გაცრელია, 5. სილი მირზო-ოღლი, და 8. ქურდი ნიკოლოზ ზურაბოვი. ღამის ქურდები: 9. მელიტონ ლევიძე 10. პავლე მოზიკინი, 11. ევანგონ ვარნიდი, 12. [illegible] ვარნიდი, 12. გიორგი ჯავახიშვილი 13. ნიკოლოზ პუშკოვი, 14. ალექსანდრე ალიმბორაშვილი, 15. ნიკოლოზ ასტიეხოვი 16. ნიკოლოზ ბალდასაროვი, 17. ნიკოლოზ ხუთაშვილი, 18. ანტონ კალუაშვილი, 19. ალექსანდრე ლაბაური. დასახელებულ პირთა შორის ოთხი: სილო-მირზა ოღლი, გიორგი ჯავახიშვილი, ანტონ კალაუშვილი და ნიკოლოზ ხუტაშვილი დაპატიმრებული არიან ციხეში 3 თვით დანარჩენ 15 ორი თვით.

9 სექტემბერს სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა უცნობი პირი, რომელიც უწოდებს თავის თავს აკოპ კარაპეტოვს.

სხვა და სხვა.

◆ სოხუმის ეროვნულ საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების სექციამ მიმდინარე სეზონში სადრამო საქმის ხელმძღვანელათ მიიწვია რეჟისორ-მსახიობი ივ. ბარველი. სცენის მოყვარეთა დასის გასაძლიერებლათ მიწვეულია აგრეთვე ცნობილი მსახიობი ქალი ნატ. ჯავახიშვილის ასული. განზრახულია მოწვევა კიდევ ერთი მსახიობ ქალისა და ვაჟისა.

წარმოდგენები რეგულიარულათ გაიმართება. თანდათანობით სავასტროლოთ მიწვეულნი იქნებიან დამსახურებულნი მსახიობნი. სეზონის დასასრულ გაიმართება საზეიმო წარმოდგენა ნინო ჩხეიძის პატივსაცემათ. სეზონი დაიწყება 20 ოქტომბერს პირველი წარმოდგენისათვის დადგმული იქნება პ. ირეთელის კომედია-შარჟი „ბედნიერი დღე“.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მექანდაკე იაკობ ნიკოლაძისგან ნოე ჟორდანიას 3 ბიუსტი შეიძინოს.

◆ ქართველ მწერალთა საბჭოს დადგენილებით ახლო მომავალში დამსახურებულ ბელეტრისტის ვ. ბარნოვის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ გაიმართება იუბილე. კვირას, შუადღის 12 ს. ყოფილ რესტორან „ანონას“ სადგომში შესდგება მწერალთა საბჭოს სხდომა, საიუბილეო კომისიის ასარჩევათ.

◆ დღეს, სალამოს, სახალ. სახლ. არსებულ ქართ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“. დასაწყისი სალ. 8 საათ. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ კვირას, 12 ოქტომბ., კავშირის ბინაზე (პლეხანოვის ქ., სახ. № 139) მოხდება ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა საერთო კრების გაგრძელება. აუცილებლად საჭიროა ყველა წევრის დასწრება.

განცხადებანი

მარიამ იოსების ასული ჰელიძის ქალი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე და პირადობის მოწმობა № 273, მიცემული ტფილისის პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან და ტფილისის ტრამვაის ლიანდაგზე უფასო მიმოსვლის ბილეთი, რომელნიც გაუქმებულად ჩაითვლება.

მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის კოოპერატივის წიგნაკი № 7621, გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1500 3—3

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შეშის მოწოდებაზე 1919/20 წლის ვადით ოზურგეთის გარნიზონისთვის 300 კუბიკური საჟენი. საჯარო ვაჭრობა მოხდება ოზურგეთის გარნიზონის უფროსის და ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის კანცელარიებში, დილის 12 საათზე, როგორც ზეპირ შეჯიბრებით, აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი 2% მოთხოვნილ ფასიდან და პირადობის საბუთები. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ არა უქმე დღე 8-დან 2 საათამდის აღნიშნულ კანცელარიებში.

1975 3—3

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 16 ოქტომბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საკვამლე მილების გაწმენდის იჯარით გაცემაზე სახაზინო შენობებში, რომელიც უკავია ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთის და სოხუმის გარნიზონებს. საჯარო ვაჭრობა მოხდება ყველა პუნქტების შესახებ ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის კანცელარიაში და ადგილობრივ გარნიზონის უფროსის კანცელარიებში დილის 12 საათზე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი 2% მოთხოვნილ ფასისა და პირადობის საბუთები. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ არა უქმე დღე 8-დან 2 საათამდის.

1976 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე.